ქალი საქართველოს ტელევიზიაში

გიორგი ჩართოლანი

საკვანძო სიტყვები: *საქართველოს ტელევიზიის ისტორია, ქალი დიქტორები, ლია მიქაძე, ალექსანდრა მაჭავარიანი, ჯულიეტა ვაშაყმაძე*

თანამედროვე საზოგადოება სულ უფრო მეტს საუბრობს გენდერულ საკითხებზე, ქალის როლზე საზოგადოების განვითარების პროცესში. უფრო და უფრო იზრდება ქალთა საკითხებზე, მათ უფლებებსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვან ინტეგრაციაზე მომუშავე როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი მასშტაბის ორგანიზაციების რიცხვი. ამ თემებს ეძღვნება არა მხოლოდ სემინარები, ტრენინგები, ვორქშოფები, არამედ სამეცნიერო კონფერენციები, სიმპოზიუმები, პუბლიკაციები.

ქალთა უფლებებზე ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციებში მოქმედებს სპეციალური დეპარტამენტები, კომიტეტები, განყოფილებები, რომლებიც მთელი რიგი ქვეყნებისთვის გასცემენ საკანონმდებლო რეგულაციებთან დაკავშირებულ კვალიფიციურ რეკომენდაციებს, რაც გულისხმობს ქვეყნის პოლიტიკური და ადმინისტრაციული მართვის საკითხებში, სოციალური პრობლემების მოგვარებაში, კულტურისა და განათლების სისტემებში ქალების აქტიურ ჩართვას.

ვრცელია ქალთა უფლებების დაცვაზე ორიენტირებული საკითხების სპექტრი, რაც უშუალოდ მოიცავს ქალთა სქესობრივი დისკრიმინაციის, ოჯახური ძალადობის, გენდერული ნიშნით მისი შევიწროების ფაქტების გამოვლენასა და პრევენციას.

გენდერულ საკითხებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიოს ავტორიტეტული მედიასაშუალებებიც, რომლებიც არა მხოლოდ აშუქებენ ამ პრობლემებს, არამედ ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ქალი დაასაქმონ სხვადასხვა სახის მედიაგამოცემებში. ევროპის მაუწყებელთა კავშირის ერთ-ერთი გავლენიანი კომიტეტი სწორედ გენდერული საკითხების კომიტეტია, რომელიც მუდმივად აწვდის უახლეს რეკომენდაციებს ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებული ევროპული ქვეყნების საზოგადოებრივ მაუწყებლებს ქალთა საკითხების გაშუქების ტენდენციებისა და ფორმების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ამ ავტორიტეტულ და გავლენიან ორგანიზაციაში გენდერულ კომიტეტს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი თინათინ ბერძენიშვილი ხელმძღვანელობს, რაც მეტყველებს, რომ ევროპისთვის ცნობილია ქართულ მედიაში ქალის განსაკუთრებული როლისა და ფუნქციის შესახებ.

ქართულ სამაუწყებლო მედიაში, კონკრეტულად კი, ტელევიზიაში, ქალმა წამყვანი პოზიცია დაარსების დღიდან დაიკავა. რასაც დღემდე არ თმობს.

1957 წელს, როდესაც საქართველოში პირველი სატელევიზიო ეთერი გაიმართა, პირველი, ვინც მოსახლეობას ეკრანიდან მიესალმა, იყო ქალი - ტელედიქტორი (მაშინ ასე ეწოდებოდა სატელევიზიო გადაცემების წამყვანს) ლია მიქაძე. მან გახსნა ქართული სატელევიზიო სივრცე და ამავე დღეს მეორე ქალი დიქტორი ალექსანდრა მაჭავარიანიც შეუერთდა. მას შემდგომ, ქალი ტელეწამყვანები, მინიმუმ, ორჯერ აღემატებოდნენ მამაკაცებს. მოცემულობა კვლავ უცვლელია.

თუ გადავხედავთ ტელევიზიის ისტორიას, ვნახავთ, რომ მედიაში ქალის დომინანტური როლი თანამედროვე გენდერული და ფემინისტური ორგანიზაციების მუშაობის დამსახურება არაა. ამ საკითხს საბჭოთა კავშირის პროპაგანდისტული სახელმწიფო ტელე-რადიო კომპანიებიც გამორჩეულ ყურადღებას უთმობდნენ.

პირველი საკავშირო ტელედიქტორიც ქალი - ნინა კონდრატოვა იყო, რომელსაც ოლგა ჩეპურნოვა და ვალენტინა ლეონტიევა დაემატნენ. რამდენიმე წელი დასჭირდა საკავშირო ტელევიზიას, მამაკაცი ტელეწამყვანების შესარჩევი კონკურსის ჩასატარებ-

ლად და ამ ქალბატონებს შემდგომ სსრკ-ის ცენტრალური ტელევიზიის ლეგენდარული დიქტორი იგორ კირილოვი შეუერთდა.

თუ დაკვირვებით გადავხედავთ ეპოქას, როცა საბჭოთა სახელმწიფოში, ტელევიზიის სახით ახალი მედიასაშუალება იქმნება, დავინახავთ, რომ ესაა პერიოდი, როდესაც საბჭოთა კავშირი დეკლარირებულად სწორედ ქალთა უფლებების პროპაგანდას აწარმოებს. სოციალისტური რეალიზმით გაჟღენთილი მხატვრული შემოქმედების ნიმუშები, მეტწილად, სწორედ ქალთა სახეებს გვთავაზობენ, ოღონდ, ეს სახეები, გამომდინარე საბჭოთა იდეოლოგიიდან, სქემატური, უფრო მეტიც - პლაკატურია.

მაგალითად, კომუნისტური იდეოლოგიური პროპაგანდის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მანქანა - საბჭოთა კინემატოგრაფი, 1930-1950-იან წლებში, ყოველგვარი მხატვრული სიღრმეებისა და შრეების გარეშე, წარმოგვიდგენდა შიშველ ლოზუნგს - ქალი და მამაკაცი თანასწორია. ოღონდ, ეს თანასწორობა ფემინიზმის ყველაზე დამახინჯებულ ფორმით - აქტიური, მყვირალა პროპაგანდისტული მოწოდებებით გვამცნობდა, რომ ქალი ისეთივე ძლიერი, შეუპოვარი, მშრომელი, მამაცი, უშიშარი და ენერგიულია, როგორც მამაკაცი; რომ არ არსებობს ქალისა და მამაკაცის განსხვავებული პროფესიული საქმიანობის არეალი; რომ ქალი ისევე გამოიყურება, იგივე სამოსი აცვია, როგორიც მამაკაცს. ამიტომ, ამ პერიოდის სოციალისტური რეალიზმის კლასიკურ ნიმუშებში ვხვდებით სხვადასხვა ტიპის ქალებს: ქალი მუშა, ქალი კოლმეურნე, მლესავი, მღებავი, მეტალურგი, ელექტრიკოსი, მძღოლი, ანუ ქალი - უნისექსი, უნიფორმაში გამოწყობილი, რომელიც შემოსილია ისეთივე სამუშაო კომბინეზონით, როგორითაც მამაკაცი. ისეთივე მშრომელია, როგორც მისი კოლეგა ე. წ. ძლიერი სქესის წარმომადგენელი. შრომის „იდილიაში", ქალისა და მამაკაცის ერთსახოვანი წარმოჩენის გარდა, ქალისა და მამაკაცის გათანაბრების ტენდენცია აშკარად ჩანს საბჭოთა კინოს სხვა ასპექტებშიც, რომლებშიც ნაჩვენებია ქალი მეცნიერის, პროფესორის, დიდი მეურნეობის ხელმძღვანელის, დიდი საწარმოს დირექტორისა და ა. შ. მხატვრული სახეები.

ქალის სახეზე იმდენად ახლო ხედით ფოკუსირდა საბჭოთა ხელოვნება, განსაკუთრებით, კინემატოგრაფი, რომ ის პრაქტიკულად შეელია სინამდვილის მხატვრული გააზრების რეალისტურ ფორმებს და ქალი ამ პროდუქციაში ერთგვარ ბუტაფორიულ, ხშირად, კარიკატურულ სახედ იქცა. ე. წ. ქალთა უფლებებისთვის მებრძოლი საბჭოთა ხელოვნება ქალისა და მამაკაცის გათანაბრების ტენდენციებმა ისე გაიტაცა, რომ, საბოლოო ჯამში, ქალი მამაკაცზე მეტად „ჩაგრული" აღმოჩნდა.

ამ მშრომელ, ქვისმთლელ და მეტალურგ ქალებს, თუ დირექტორებსა და ხელმძღვანელებს საბჭოთა კინოსცენარების ავტორებმა არ ჩამოაცილეს მათი, აქამდე არსებული, ტრადიციული საოჯახო საქმეები: ბავშვებისა და ქმრის მოვლა, სარეცხი, სადილის მომზადება, პროდუქტის შეძენა და სხვა მრავალი.

კინოდრამატურგებს არც ის დაავიწყდათ, საბედნიეროდ, რომ ქალებს ე. წ. ქალურობაც ბოლომდე არ უნდა დაეკარგათ და პერიოდულად, სილამაზის სალონებსაც უნდა სტუმრებოდნენ, ახალი კაბებიც უნდა შეეძინათ და ფერუმარილიც, შიგადაშიგ, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, უნდა გამოეყენებინათ.

ასე რომ, საბჭოთა მხატვრულმა შემოქმედებამ ქალი დატოვა ქალად, იმ მოთხოვნებითა და ვალდებულებებით, რომლებიც მისი სქესისთვის მრავალი საუკუნის განმავლობაში იყო დამახასიათებელი და დაუმატა აქამდე მამაკაცის კუთვნილი საქმიანობებიც. ამდენად, საბჭოთა ქალს სერიოზული პასუხისმგებლობები და მოვალეობები აჰკიდა.

XX საუკუნის შუა წლების, ქალის საბჭოური გაგების ამ ტრენდულმა ტენდენციებმა გვერდი ვერ აუარა ახალ სოციოალურ-კულტურულ ინსტიტუციას, ტელევიზიას და პირველ საბჭოთა ტელევიზიაში პირველი ტელესახე, როგორც აღვნიშნე, იყო ქალი. ბუნებრივია, ვერც ერთი რესპუბლიკა ვერ შეცვლიდა მოსკოვის ტელეხედვის სტუდიის ამ გადაწყვეტილებას და ყველა რესპუბლიკური ტელევიზიის პირველი ეთერი ქალმა დიქტორებმა გახსნეს.

დიდი ფიქრი არ დასჭირდა საქართველოს ტელეხედვის სტუდიის ხელმძღვანელობასაც, რომ თბილისის მთაწმინდის პარკის ტერიტორიაზე არსებულ მცირე სატელევიზიო პავილიონში კამერის წინ დაეყენებინათ მშვენიერი ქალბატონი ლია მიქაძე, რომელიც გარეგნულად, ჩაცმით, ვარცხნილობით და გრიმით იმეორებდა ცენტრალური ტელევიზიის პირველი დიქტორი ქალბატონების სტილს. უფრო მეტიც,

იმ სამასი ქალიდან, რომლებიც პირველი ტელეწამყვანების კონკურსში მონაწილეობდნენ, ორი ისეთი შეირჩა, რომელთა მეტყველება, ხმა და დიქცია, ასევე ჯდებოდა ახალშემუშავებულ საბჭოთა სატელევიზიო სტანდარტებში.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ როგორც საკავშირო მასშტაბით, ისე საქართველოში პირველი ტელეწამყვანები იყვნენ თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის კურსდამთავრებულები. ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა. თავდაპირველად, საბჭოთა სივრცეში ტელევიზია არ მოიაზრებოდა როგორც მედია, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა ახალი ამბების წარმოებაზე. მით უფრო, სრულიად გამორიცხული იყო იმგვარი სატელევიზიო პროექტების ტრანსლირება, რომლებშიც იქნებოდა არსებული რეალობის კრიტიკული გააზრება და მედიის საშუალებით მაყურებლამდე, საზოგადოებამდე იმ ნაკლოვანებების მიტანა, რომლებიც საბჭოთა სისტემას და საბჭოურ ცხოვრების წესს ახასიათებდა. რამდენადაც, სსრკ-ში, მრავალი წლის განმავლობაში, ტელევიზია წარმოადგენდა პროპაგანდისტული მიმართულების მძლავრ საზოგადოებრივ-კულტურულ ინსტიტუციას, მის ხელმძღვანელებად კომუნისტური პარტიის გამოცდილი მუშაკები დაინიშნნენ. პირველი რედაქციებიც აგიტაცია-პროპაგანდისა და კულტურის მიმართულების იყო.

პირველი საეთერო გადაცემა, რომელიც საქართველოს ტელევიზიით მაყურებელს ლია მიქაძემ წარუდგინა, დღევანდელი გაგებით, ერთგვარი ტოქ-შოუ იყო, რომელშიც მონაწილეობდნენ შრომისა და ომის ვეტერანები და საუბრობდნენ იმ მიღწევებზე, რომლებზეც საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანა აკეთებდა ძირითად აქცენტებს. მაგრამ, ამ გადაცემის გარდა, პირველი ქართული სატელევიზიო ეთერი დაიკავა იმ პერიოდის ყველზე პოპულარულმა მხატვრულმა ფილმმა „აბეზარა“.

„აბეზარა“ საბჭოთა სოციალისტური რეალიზმის კლასიკური ნიმუშია, რომელშიც ნაჩვენებია, როგორ შენდება საქართველოს დედაქალაქი, როგორ ელოდება სარდაფებში მცხოვრები თბილისის მშრომელი მოსახლეობა ახალ, კომფორტულ სახლებში გადასვლას. ფილმი ჟანრის სრულ ერთგულებას ინარჩუნებს, სადაც არ არის კონფლიქტი „ცუდსა“ და „კარგს“ შორის, სადაც კონფლიქტი არის „კარგსა“ და „უკეთესს“ შორის. მაგალითად, რა მასალით უნდა მოპირკეთდეს ახალი აშენებული სახლი - ძვირადღირებული თუ იაფიანი ტუფით? ეს ტიპური სქემა, რაც დამახასიათებელი იყო საბჭოთა იდეოლოგიზებული ხელოვნებისთვის, ფილმში „აბეზარა“ აგებულია ისევ და ისევ საბჭოთა ქალის სახეზე.

აბეზარა - ახალგაზრდა მძღოლი გოგონას მეტსახელია, რომელიც, მართალია, მძღოლია, ამავე დროს, უმაღლეს განათლებასაც ეუფლება დაუსწრებელი სწავლების მეთოდით. მართალია, მის ყოველდღიურ სამოსს ავტოპარკის უნიფორმა, უნისექსი კომბინეზონი აცვია, მაგრამ, როდესაც გადაწყვეტს, თავი მოაწონოს მამაკაცს, პირველად ესტუმრება სილამაზის სალონს და ტუჩსაცხსაც წაისვამს. ანუ, ქართულმა ტელევიზიამ არა მხოლოდ უერთგულა საკავშირო ტელევიზიას და პირველ ტელეწამყვანებად ქალბატონები შეარჩია, არამედ პირველი ეთერიც, ისევ და ისევ საბჭოთა ქალის სახეზე შექმნილ, კომუნისტური იდეოლოგიით გაჟღენთილ კინოსურათს დაუთმო.

საქართველოს ტელევიზიაზე საკავშირო ცენტრალური ტელევიზიის მნიშვნელოვანი გავლენების მიუხედავად, თბილისის სატელევიზიო ხედვის სტუდიაში მაინც გაჩნდა ერთი ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც იმ პერიოდის საბჭოთა ტელევიზიებისთვის არ იყო დამახასიათებელი. ეს იყო ჯულიეტა ვაშაყმაძე.

ჯულიეტა ვაშაყმაძეც ლია მიქაძის, ალექსანდრა მაჭავარიანის, ჟანეტა ასლამაზიშვილის (შემდგომში არჩვაძის) მსგავსად თეატრალური ინსტიტუტიდან მოვიდა ტელევიზიაში, როგორც ტელეწამყვანი, მაგრამ გამორჩეული ნიჭისა და უნარების გამო, დაიწყო ტელევიზიაში მანამდე არარსებული პროფესიული საქმიანობაც - რეპორტიორობა. შესაბამისად, ჯულიეტა ვაშაყმაძე პირველი ქალი ტელეჟურნალისტია, რომელიც ამზადებდა რეპორტაჟებს, ჰქონდა პირდაპირი ჩართვები მოვლენების ადგილებიდან და, რაც მთავარია, პირდაპირ ეთერში არ კითხულობდა სხვის, რედაქტორ-ცენზორის დაწერილ ტექსტებს. ლაპარაკობდა ზეპირად, არასდროს იხედებოდა ფურცლებში, მაყურებელს ესაუბრებოდა უშუალოდ, არტისტულად, გასაგებად, მისთვის ნაცნობი სიტყვებითა და ინტონაციით. ანუ, ისე, როგორც ადამიანები საუბრობენ ყოფაში, რამაც ყოველი მაყურებლის ლამის ოჯახის წევრად აქცია და განუზომლად დიდი პო-

პულარობა და ავტორიტეტი მოუტანა.

ჯულიეტა ვაშაყმაძე მუშაობდა განსხვავებულ სივრცეებსა და ასპარეზზე. მან მოიცვა იმ პერიოდის ჟურნალისტისთვის დასაშვები ყველა არეალი: ამზადებდა რეპორტაჟებს კულტურის, ხელოვნების, სპორტის, მეცნიერების თემებზე და პერიოდულად, შეფარვით, შენიღბულად ცდილობდა ესაუბრა არსებულ სოციალურ გარემოზეც, უბრალო ადამიანების ყოფით ცხოვრებაზე და ხანდახან პრობლემებზეც კი. ამის უფლებას აძლევდა განუზომლად დიდი ავტორიტეტი, პოპულარობა და უნარი, დაერწმუნებინა მაყურებელიც და ტელევიზიის ხელმძღვანელობაც წარმოთქმული ტექსტების მართებულობასა და ჭეშმარიტებაში.

ასე რომ, პირველი ტელეჟურნალისტიც საქართველოს ტელევიზიაში ისევ და ისევ ქალი აღმოჩნდა.

საქართველოს ტელევიზიაში ქალის ფუნქცია და როლი არც მას შემდეგ შემცირდა, რაც 1990-იანი წლებში დაკარგა აქტიური კულტუროლოგიური სახე და თანდათან ყველა ის ინსტრუმენტი შეიძინა, რაც ახასიათებს სამაუწყებლო ტელემედიას. მიზეზი, ჩამოყალიბებული ტრადიციის გარდა, უნდა ვეძებოთ საქართველოს უახლეს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ქართული სახელმწიფო 30 წელზე მეტია ცდილობს ახალი, დემოკრატიული, ეკონომიკურად და პოლიტიკურად სტაბილური ქვეყნის აშენებას, რაშიც, ერთი მხრივ, ეხმარება დასავლეთის ცივილიზებული სამყარო და მეორე მხრივ, ხელს უშლის რუსეთი, რომლის მიზანია - საქართველო, როგორც ვასალი ქვეყანა, გავლენის ორბიტაში შეინარჩუნოს. მძიმე ომები, რომლების შედეგადაც საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი ოკუპირებულია რუსეთის მიერ, მხოლოდ ის უდიდესი გამოწვევა არაა, რომლის წინაშეც აღმოჩნდა ქართული სახელმწიფო. სწორედ იმის გამო, რომ მსოფლიო პოლიტიკის ორი ძლიერი მოთამაშე - ამერიკა და რუსეთი ცდილობენ საკუთარი გავლენების მოპოვებას საქართველოზე, როგორც გეოპოლიტიკურად მომგებიან ტერიტორიაზე, ისინი, ბუნებრივია, საკუთარი მიზნების განხორციელებისთვის ეყრდნობიან ადგილობრივ პოლიტიკურ ძალებს. ამიტომ, ქართველ პოლიტიკოსებს შორის, 30 წელზე მეტია, მიმდინარეობს დაუსრულებელი ბრძოლა, უცხო ქვეყნების ინტერესების გატარებით, პოლიტიკური ამბიციების დაკმაყოფილებისა და ყოფითი კეთილდღეობის მოპოვების მიზნით. ეს არის რთული ბრძოლა, ზოგჯერ სამკვდრო-სასიცოცხლოც და ამ ბრძოლაში სრულად არის ჩართული ქართული მედია, როგორც პროპაგანდის ყველაზე მძლავრი იარაღი პოლიტიკური პარტიების ხელში.

შესაბამისად, ქართული ტელევიზიები ძირითად დროს უთმობენ საინფორმაციო და პოლიტიკურ შოუებს, რომლებშიც დაუნდობლად, მორალურ-ეთიკური, თუ პროფესიული სტანდარტების სრული უგულებელყოფით, მიმდინარეობს ანგარიშსწორება დაპირისპირებული პოლიტიკური ძალის მიმართ და, როგორ უცნაურადაც უნდა მოგვეჩვენოს, ამ ბრძოლაში ერთ-ერთ მთავარ „დამრტყმელ“ ძალად, ისევ ქალი ჟურნალისტები გვევლინებიან.

მე მრავალი წელია ვასწავლი ჟურნალისტებს თბილისის სხვადასხვა უნივერსიტეტში და ჩემმა, თითქმის 30-წლიანმა, დაკვირვებამ დამიდასტურა, რომ, საშუალოდ, წელიწადში 100 სტუდენტიდან, 90 მანდილოსანია. დარჩენილი 10 მამაკაციდან კი, მინიმუმ, 4-ს უნდა სპორტული ჟურნალისტობა. რა არის მიზეზი? ამ წლების განმავლობაში, არა ერთი გამოკითხვა ჩავატარე და საინტერესო შედეგი გამოიკვეთა: კითხვაზე, რატომ არ უნდათ მამაკაც სტუდენტებს პოლიტიკურ ჟურნალისტიკაში მუშაობის გაგრძელება? რეზიუმირებული პასუხი ასე გამოიყურება - ქართულ რეალობაში, რაც ეპატიება ქალს, არ ეპატიება მამაკაცს. (!!!)

რას გულისხმობს ეს პასუხი? იმას, რომ პოლარიზებულ და უმეტესად, ანგაჟირებულ მედიაში, სადაც ჟურნალისტი იძულებულია შეასრულოს დამკვეთის რადიკალური მოთხოვნები - რაც შეიძლება, დაუნდობლად აკრიტიკოს, ამხილოს მოწინააღმდეგე, ძნელია გაუძლო იმ სიტყვიერ და უმეტესად, ფიზიკურ ანგარიშსწორებას, როგორსაც ადგილი აქვს ჟურნალისტების მიმართ. მამაკაცებს უსწორდებიან ფიზიკურად, აშანტაჟებენ, ქექავენ და ასაჯაროებენ მათ პირად ცხოვრებას. ქართული საზოგადოებრივი მორალი დაუშვებლად მიიჩნევს მამაკაცების ბევრ ისეთ ქმედებას, რაც ქალბატონებისთვის მეტ-ნაკლებად დასაშვებად მიაჩნია.

ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი მეორე ადამიანის და, მათ შორის, ჟურნალისტის საქციელს

აფასებს არა იმის მიხედვით, რამდენად ხელმძღვანელობს პროფესიულ საქმიანობაში არსებული კანონმდებლობითა და საერთაშორისო კონვენციებით, არამედ იმით, თუ რამდენად ესადაგება მისი ქმედება ე. წ. ქართული სოციუმის მიერ წლების განმავლობაში შემუშავებულ, დაუწერელ, საჯარო ქცევის კოდექსებს. ხშირად, კრიმინალური სამყაროს კანონებს, რაც გულისხმობს - საჯაროდ სხვისი კრიტიკის მხილების დაუშვებლობას და დასჯის მეთოდებად ფიზიკურ ანგარიშსწორებას (ამის მაგალითი არა ერთია უახლესი ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში: ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის ჟურნალისტ გიორგი სანაიას მკვლელობა, მისი ძმის, ტელეკომპანია „პირველის" პოლიტიკური შოუს წამყვან ვახო სანაიას ცემა, ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის ყოფილი გენერალური დირექტორისა და პოლიტიკური შოუს წამყვანების - ნიკა გვარამიასა და გიორგი გაბუნიას პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის გასაჯაროების მუქარით შანტაჟი, 2021 წლის 5-6 ივლისს, თბილისში „ღირსების მარშის" გაშუქებაზე მომუშავე 53 ჟურნალისტზე, უპირატესად კი, მამაკაც ოპერატორებზე სასტიკი ძალადობისა და შედეგად, ტელეკომპანია „პირველის" ოპერატორ ალექსანდრე ლაშქარავას გარდაცვალება და სხვა).

ჟურნალისტებზე და ზოგადად, მედიაზე როგორც ხელისუფლების, ისე საზოგადოების ცალკეული წარმომადგენლის მხრიდან ძალადობრივი ქმედებები დამახასიათებელია, ძირითადად, სუსტი დემოკრატიისა და ავტორიტარული მმართველობის ქვეყნებისთვის, რასაც საქართველო, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ განეკუთვნება. ამ ტიპის აგრესიის მიმართ, გამომდინარე გამეფებული საზოგადოებრივი მორალიდან, უფრო მოწყვლადია მამაკაცი, ვიდრე ქალი, რადგან ის, რაც ხშირად გვერდს უვლის ქალს (ფიზიკური შეურაცხყოფა), პირდაპირ სამიზნედ აქცევს მამაკაცს. ამიტომ, ბევრი მომავალი კაცი ჟურნალისტი საქმიანობის ასპარეზად ირჩევს ე. წ. უვნებელ ან ნაკლებად დამაზიანებელ სფეროებს - სპორტსა და კულტურას.

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ, თუ ტელევიზიის წარმოშობის პირველ პერიოდში ტელევიზიაში ქალები წამყვან პოზიციებს გენდერული და ესთეტიკური (ქალ მაყურებელში საბჭოთა მოდის სტილის პოპულარიზაცია) ნიშნით იკავებდნენ, 1990-იანი წლების შემდეგ, ქართულ ტელესივრცეში მათ ეს ადგილი არსებულმა სოციალურმა თუ პოლიტიკურმა ველმა და ტემპერატურამ შეუნარჩუნა. როგორი იქნება ქართული ტელემედიის მომავალი სახე და ვინ იქნება ამ ასპარეზზე მთავარი წამყვანი ძალა, მომავალი კვლევა გვაჩვენებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- იბერი, ე., საქართველოს ტელევიზიის ისტორია, თბილისი, 2016.
- ჩართოლანი გ., კუტუბიძე ლ., ჭიჭინაძე რ., - კულტურა მედიაში, თბილისი, „კენტავრი", 2019.
- Борецкий Р. А. Беседы об истории телевидения, изд. «Икар», 2012.

WOMAN IN GEORGIAN TV

George Chartolani

Keywords: *History of Georgian Television, Female Dictators, Lia Mikadze, Alexandra Machavariani, Julieta Vashakmadze*

In our modern society, gender issues and the role of women in the development of society are discussed more and more vigorously. We can see a growing number of international and local organizations working and talking on women's issues, their rights and full integration into public life. These issues are discussed not only at seminars, trainings or workshops, but also by scientific conferences, symposiums, publications. Many scientific discussions are dedicated to these topics.

Highly qualified international organizations advocating women's rights have special departments, committees staffed with specialists working out recommendations for a number of countries on legislation, including political and administrative management, solving social problems, and the active involvement of women in the systems of culture and education.

There is a wide range of issues related to the protection of women's rights, including the detection and prevention of sexual discrimination, domestic violence, gender-based harassment of women.

Gender issues are also of great importance to authoritative media organizations of the modern civilized world, which not only cover these problems, but also try to employ as many women as possible in various media broadcasters. One of the most influential bodies of the European Broadcasting Union (EBU) is the Committee on Gender, which constantly provides the public broadcasters of the organization's European members states with the latest recommendations on trends and forms of coverage of women's issues. Notably, the gender committee, in this authoritative and influential organization (EBU), is headed by Tinatin Berdzenishvili, Director General of the Georgian Public Broadcaster, which indicates that Europe is aware of the special role and function of women in the Georgian media.

In the Georgian broadcast media, specifically in television, women have held leading positions since inception, something they have not given up to this day. In 1957, when the first TV broadcast took place in Georgia, the first person to greet the Georgian population from the screen was a woman, TV anchor (then called a TV presenter) Lia Mikadze. She opened the Georgian television space and on the same day she was joined by another female announcer, Alexandra Machavariani. Ever since, female TV presenters outnumbered men by at least twice, and this figure remains unchanged to this day.

Looking at the history of Georgian television, we will find out that the dominant role of women in the media is not the merit of the work of modern gender and feminist organizations. The Soviet propaganda machine, state TV/Radio companies, also paid special attention to gender.

The very first TV announcer in Soviet Union was also a woman, Nina Kondratova, who was later joined by two more women: Olga Chepurnova and Valentina Leontieva. It took several years for Union Television to hold a competition to select male TV presenters, and these women were later joined by the legendary presenter of Central Television of the USSR, Igor Kirilov.

While analyzing the epoch when a new media, television, was created in the Soviet Union, we will find out that this is the period when the Soviet State propaganda was declaring the women's rights as one of the priorities. Artistic works imbued with Soviet socialist realism largely offer the faces of women, but these faces, derived from Soviet ideology, are schematic, moreover, placard.

For example, one of the most powerful machines of communist ideological propaganda—Soviet cinema, in the 1930s and 50s, without any artistic depths and layers, presented us with a pure slogan—women and men are equal. However, this equality in the most distorted form of feminism—with active, shrill propaganda calls—has shown us that women are as strong, relentless, hard-working, brave, fearless and energetic as men that there is no difference between a woman and a man. There is no difference between their jobs. Woman wears the

same clothes as a man. Under this kind of propaganda, in Soviet cinema of this period, which is a classic example of socialist realism, we find different types of women: female worker, female collective farmer, butcher, painter, metallurgist, electrician, driver, or woman - unisex, dressed in uniform, dressed in the same work overalls as men. She is as hard worker as her colleague male, there is no gender sign between. Besides presenting equal face of men and women in the "idyllic" working process, the tendency of equality is brightly shown in the other aspects of Soviet cinema. There we can follow to the stories about a woman who is a scientist, professor, head of a large farm, director of a large enterprise, and so on.

Soviet art was strongly focused on the equal woman's face especially cinema was the strongest propaganda weapon. While going by this ideological line cinema practically lost, confused with realistic forms of artistic understanding of reality, and the woman in this production has become a kind of dummy, often caricatured face. So-called Soviet art fighting for women's rights was so carried away by the tendency to equate men and women that women eventually became more "oppressed" than men. To these hardworking, stone-clad and metallurgical women, or directors and rulers, the authors of Soviet screenplays have not removed their traditional family duties from the past: taking care of husband and children, laundry, preparing dinner, product purchase and much more. Filmmakers fortunately, did not forget that, women should not totally lose so called femininity. Over time, they should visit beauty salons, buy new dresses and only for special occasions, they are allowed to have some makeup on their face.

Allover we can see that, Soviet art creators left a woman as a woman, with the demands and obligations that had been characteristic of her gender for many centuries, and added to the activities familiar for men. So they imposed serious responsibilities and duties on the Soviet woman.

These trendy tendencies of the Soviet understanding of women in the mid-20th century could not bypass the new socio-cultural institution, television, and the first face in the first Soviet television was women. However, republics in the commonwealth could change the decision of the Moscow TV studio, so the first broadcast of all republican television was presented by a female announcer.

It did not take long for the management of the Georgian state TV studio to put a beautiful woman Lia Mikadze in front of the camera in a small TV pavilion in the territory of Mtatsminda Park in Tbilisi. By her look: dress, hairstyle, and make-up, she replicated the style of the first female announcer on Central television. Moreover, out of the three hundred women who took part in the competition for the first TV presenter, two were selected whose speech, voice and diction also fit the newly developed Soviet television standards.

Importantly, the first TV presenters both on central Moscow TV and in Georgia were graduates of the acting department of the Theater Institute, not an accidental decision. While analyzing the process, we have to realize that in Soviet Georgia, and in other Soviet countries, TV-broadcasting had a very clear purpose: it should not be so much a media news outlet as a kind of new cultural institution. Moreover, it was completely out of the question to broadcast such television projects where there would be a critical understanding of the existing reality and to convey to the public, through the media, the shortcomings of the Soviet system and the Soviet way of life.

In the USSR, for many years, television was a powerful socio-cultural institution of the propaganda direction. So in all republics experienced comrades of the Communist Party were appointed to head those media organizations. The first structures on soviet television were the direction of agitation-propaganda and culture.

The first program aired on Georgian television and presented by Lia Mikadze was, in today's sense, a kind of talk show featuring Soviet labor and war veterans were talking about the achievements, which was the order of the Soviet propaganda machine. Besides this program, on the first day of Georgian TV air was hold by the most popular feature film of that period Abezara.

Abezara is a classic example of Soviet socialist realism, which shows how the capital of Georgia is being built, how the working population of Tbilisi living in basements is waiting to move to new, comfortable homes. The film maintains its full commitment to the genre, where there is no conflict between "bad" and "good," but a conflict between "good" and "better". For example, what material should a newly built house be covered with, expensive or cheap stone? This typical scheme, which was characteristic of Soviet ideological art, build in the film on the

image of a Soviet woman. Abezara is the nickname of the young female driver. Besides being a driver, she is also a corresponding student. She wears her everyday uniform, a unisex jumpsuit, as a worker, but when she decides to attract a man, she visits a beauty salon for the first time and put on some makeup. So, by this very first TV broadcasting schedule, Georgian television not only devoted itself to main union TV and selected women as its first TV presenters, but also broadcasted a film imbued with a communist ideological image of a Soviet woman.

Besides the strong authority of the main, union Moscow television, in Tbilisi TV studio appeared very significant person, Julieta Vashakmadze.

Julieta Vashakmadze as well as others: Lia Mikadze, Alexandra Machavariani, Janeta Aslamazishvili (later Archvadze), came to the television from the Theater Institute as a TV presenter, but due to her distinguished talent and skills, she started her professional career in TV reporting. This profession did not exist on TV. Consequently, Julieta Vashakmadze was the first female television journalist who produced reports, she had live broadcasts from the scene and, most importantly, she did not read live texts written by someone else, the editor-censor. She spoke without a prompter, never looked at the pages, spoke to viewers directly, artistically, intelligibly, with words and intonation familiar to the audience. In other words, she spoke ordinary as people speak in real life, which made Julieta Vashakmadze a member of every Georgian family and brought immeasurably great popularity and authority.

Julieta Vashakmadze worked in different directions. She covered all areas allowed for a journalist of that period: making reports about culture, art, sports, science and also time by time under the cover, she tried to talk about the existing social environment, the life of ordinary people, and sometimes even problems. She was empowered to do so by immeasurably great authority, popularity, and the ability to convince both viewers and television management of the accuracy and truthfulness of the texts she uttered.

Once again, the first television journalist on Georgian television was a woman.

The role of women in Georgian television has not diminished since TV lost its active cultural face in the 1990s, while gradually activate all the tools that characterize broadcast television. The reason, that women stay important on TV is not just a tradition. We also must or the reason for this in the recent political and public life of Georgia.

For more than 30 years since the collapse of the Soviet Union, the Georgian state has sought to build a new, democratic, economically and politically stable country, aided by the western civilized world. But there is another side, neighboring Russia, which seeks to maintain its influence in the region.

Armed conflicts, wars, and very heavy result, 20% of the territory of Georgia is occupied by Russia—these are not the only major challenges faced by the Georgian state. The reality of the recent politics is that, the two strongest players in world politics—the United States and Russia—are trying to gain influence over Georgia as a geopolitically viable territory, they naturally rely on local political forces to pursue their own goals. Therefore, there has been an endless struggle among Georgian politicians for more than 30 years to pursue the interests of foreign countries in order to satisfy their own political ambitions and to achieve their former well-being. This is a dangerous game, difficult battle, sometimes a life-and-death one, and the Georgian media is fully involved in this struggle, as the most powerful weapon of propaganda in the hands of political parties. Consequently, Georgian televisions devote most of their broadcasting time to news and political shows. Daily Georgian audience sees the live TV shows which is ruthless and complete disregard, discharged from any moral-ethical, or professional standards. It may seem strange, but the fact is that female journalists are still one of the main "striking" forces in this "fight without rules."

I have been teaching journalists at various universities in Tbilisi for many years, and my almost 30 years of observation have shown me that on average, out of 100 students a year, 90 are women. Of the remaining 10 men, at least 4 need sports journalism. So here comes the question – what is the reason of it? Over these years I've got numerous surveys and found an interesting result: To the question, why shouldn't male students continue to work in political journalism? The summary answer looks like this - in Georgian reality, what forgives a woman does not forgive a man. (!!!). So what does this answer means? In a polarized and mostly engaged media, where the journalist is forced to comply with the client's radi-

cal demands - to be able to ruthlessly criticize, expose the opponent, it is difficult to withstand the verbal and mostly physical retaliation that takes place against journalists. Men are physically abused, blackmailed, praised and their private lives made public. Georgian public morality considers many of the actions of men to be inadmissible, which it considers more or less permissible for women.

A large part of Georgian society evaluates the behavior of another person, including a journalist, not according to the extent to which he/she is guided in his/her professional activity by the existing legislation and international conventions, but by the extent to which his / her actions are appropriate. So called the unwritten public codes of behaviors developed by the Georgian society over the years, often it is familiar to the laws of the criminal world, which imply the inadmissibility of public criticism of others and the use of physical retribution as methods of punishment. (There are splendid examples of this in the history of modern Georgian journalism: the murder of Rustavi 2 journalist Giorgi Sanaia, the beating of his brother Vakho Sanaia, the host of TV Pirveli political show, the blackmailing of Nika Gvaramia, (the former director general of Rustavi 2 and the host of the political show) and Giorgi Gabunia the host of the political show. On July 5-6, 2021, 53 journalists working in Tbilisi to cover the Pride, mostly male cameramen, were brutally beaten and as a result, Alexander Lashkarva, a cameraman for TV Pirveli, died....).

Violent acts against journalists and the all media in general by both the government and the public. These kinds of views are typical of countries with weak democracies and authoritarian regimes, to which Georgia, unfortunately, still belongs. Based on public morality we mentioned below, men are more vulnerable to this type of aggression than women. We can see that often physical abuse bypasses the woman, though directly targets the man. That is the reason why the future male journalist chooses "harmless" or less damaging fields, sports and culture, as his field of activity.

In conclusion, if in the first period of the origins of television, women in television held a leading position in terms of gender and aesthetics (popularization of the Soviet fashion style in female viewers), after the 1990s, their place in the Georgian television space was maintained by their existing social or political field and temperature. The researches based by the future circumstances will show what will be the future face of Georgian TV media and who will be the main leading gender in this field.

REFERENCES:

- G. Chartolani, L Kutubidze, R. Tchitchinadze; "Culture in Media", Tbilisi, published by "Kentavri"; 2019.
- E. Iberi, "The history of Georgian Television", Tbilisi, 2016.
- Борецкий Р. А. -Беседы об истории телевидения, изд. «Икар», 2012.